დანართი 15

მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 18)

პროგრამა განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

მუხლი 1. პროგრამის მიზანი:

1. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა.

მუხლი 2. დაფინანსების წყარო:

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამა ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლეები:

პროგრამით მოსარგებლეები არიან სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ყავთ 4 ან მეტი 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი შვილი და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-სს.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეების დაფინანსება:

პროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად მატერიალური დახმარების გაწევას მრავალშვილიან ოჯახებზე წელიწადში ერთხელ:

ა) 4 შვილზე - 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით;

ბ) 5 შვილზე - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

გ) 6 შვილზე - 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით;

დ) 7 შვილზე - (შვიდასი) ლარის ოდენობით;

ე) 8 შვილზე - 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტები:

ა) განცხადება ან/და შუამდგომლობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისაგან;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი(იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);

დ) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ (ამონაწერის გაცემის თარიღი არ უნდა აღემატებოდეს ბოლო ერთ თვეს);

ე) ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები;

ვ) საბანკო რეკვიზიტები;

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ამ პროგრამით სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზება:

1. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების მისაღებად, ოჯახის წარმომადგენელი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს ან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს.

2. მუნიციპალიტეტში შემოსული დახმარების მთხოვნელთა განცხადებები თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის სამსახურში.

3. შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის დასახელება და დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნას სრულყოფილად.

მუხლი 8. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფლებამოსილება:

1.ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური დოკუმენტაციასთან ერთად შემოსული განცხადებების შემოწმების ან/და ადგილზე გადამოწმების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაცია სრულყოფილია ამზადებს ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში მიმართავს განმცხადებელს ან/და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს ხარვეზის შესასწორებლად.

მუხლი 9. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება:

1.სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს(ბრძანებას)-თანხის გამოყოფის შესახებ.

მუხლი 10. დახმარების გაცემის წესი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის(ბრძანების) მომზადებას წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში;

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება უზრუნველყოფს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გადაგზავნას ელექტრონული მოდულის მეშვეობით როგორც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურში, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში;

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური თანხას გასცემს უნაღდო ანგარიშსწორებით ამ პროგრამის მე-9 მუხლის თანახმად გამოცემულ ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 11. პროგრამის შეფასების ინდიკატორი:

1.პროგრამაში ჩართული მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა.

მუხლი 12. პროგრამის შედეგი:

1. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება.